თბილისი 2022 წლის 7 მარტის

თსუ რექტორის 2022 წლის 24 იანვრის N13/01-01 ბრძანების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N13/2022 2022 წლის 14 თებერვლის N2** სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) მოადგილე
ია კირვალიძე (ცსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (ცსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>**დღის წესრიგი:**</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნანა გოიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ლელა კოპალეიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ონკოლოგიისა და პალიატიური მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ირინე გაგუას მიერ გაკეთებული მოხსენება;

<u>**მოისმინეს:**</u>

მედიცინის დოქტორების: ნანა გოიშვილის, ლელა კოპალეიშვილისა და ირინე გაგუას მინი მოხსენებები, მათი სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე. კომისიის

თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 15 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა: თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის, შინაგან დაავადებათა კათედრის, ონკოლოგიისა და პალიატიური მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე მედიცინის დოქტორების - ნანა გოიშვილის, ლელა კოპალეიშვილისა და ირინე გაგუას არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი ნანა გოიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად; მედიცინის დოქტორი ლელა კოპალეიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორად; მედიცინის დოქტორი ირინე გაგუა არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიისა და პალიატიური მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ზიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)